თავი VII

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 16. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განკარგვა

ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების – „52 01 – საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „52 02 – საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა“, „52 03 – საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებები“, „52 04 – ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“ – განკარგვა განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

მუხლი 17. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები, შესაბამისად, 55 000.0 ათასი და 55 000.0 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 181 000.0 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. განისაზღვროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის მოცულობა 20 000.0 ათასი ლარით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იძულებით ჩამოჭრილი თანხები ასახოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდით გათვალისწინებულ ასიგნებებში.

4. საბიუჯეტო ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოების მოთხოვნას საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ან/და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 18. საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის დაფინანსება

ამ კანონით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 484.5 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ – 136.5 ათასი ლარი მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი 19. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

განისაზღვროს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მოცულობა 40 000.0 ათასი ლარით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 20. დავალიანებების დაფარვა

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ასიგნებები, იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

მუხლი 21. სახელმწიფო ვალი

1. სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 293 881.9 ათასი ლარი:

ა) ძირითადი თანხის დაფარვა – 135 334.9 ათასი ლარი, მათ შორის:

- ორმხრივი კრედიტებისათვის – 44 483.0 ათასი ლარი;
- მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 90 851.9 ათასი ლარი;

ბ) პროცენტის გადახდა – 158 547.0 ათასი ლარი, მათ შორის:

- ორმხრივი კრედიტებისათვის – 46 345.2 ათასი ლარი;
- მრავალმხრივი კრედიტებისათვის – 44 703.7 ათასი ლარი;
- სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების მომსახურება – 67 498.1 ათასი ლარი.

2. უფლება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ კანონით საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კრედიტორი ქვეყნის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით განახორციელოს საქართველოს იურიდიული პირებისათვის აღნიშნული სახსრებიდან თანხების ანაზღაურება ან შესაბამისი პროგრამების დაფინანსება ამ იურიდიული პირების მიერ კრედიტორი

ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისათვის და მომსახურების გაწევისათვის.

3. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული 640 846.0 ათასი ლარიდან სახელმწიფო ობლიგაციის განახლება 600 846.0 ათასი ლარის ოდენობით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის. სახელმწიფო ობლიგაციების მომსახურებისათვის გათვალისწინებულ იქნეს 52 146 ათასი ლარი.

4. „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წლის 15 მარტს გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების ღია ბაზრის ოპერაციებისათვის 18 000.0 ათასი ლარის მოცულობით დაფარვა და 2008 წლის 15 მარტს გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების ღია ბაზრის ოპერაციებისათვის 17 000.0 ათასი ლარის მოცულობით დაფარვა.

5. სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულების ცვლილება განისაზღვროს 200 000.0 ათასი ლარის წმინდა ზრდით. სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვება განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციების დაფარვის აღრიცხვა განახორციელოს ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამისი მუხლის შემცირების გზით.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებზე გადასახდელი დისკონტისათვის და სახაზინო ობლიგაციების კუპონისათვის გათვალისწინებულ იქნეს 17 500.0 ათასი ლარი.

მუხლი 22. თანამდებობრივი სარგოები, პრემიები, დანამატები და დახმარებები

1. უფლება მიეცეთ საქართველოს მინისტრებსა და სახელმწიფო მინისტრებს, მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრონ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს განსაზღვრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას საჭიროებს აგრეთვე ცვლილებები დამტკიცებულ საშტატო ნუსხებსა და თანამდებობრივ სარგოებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განხორციელებული ცვლილებების შედეგად უცვლელი რჩება საშტატო რიცხოვნობა, თანამდებობათა დასახელებები და თანამდებობრივი სარგოები.

3. 2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა

და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დანამატებისა და დახმარებების გაცემა განხორციელდეს მათთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამასთანავე, მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გაზარდონ მათთვის ამ კანონის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების" მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არა უმეტეს ამავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მხარჯავ დაწესებულებებს უფლება აქვთ, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულება გაავრცელონ მხოლოდ იმ მოსამსახურეებზე, რომლებზედაც 2006 წლის 1 იანვრამდე ვრცელდებოდა აღნიშნული მუხლის მოქმედება.

5. საქართველოს მთავრობის წევრთა პრემიების გაცემა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

მუხლი 23. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა, მათი შრომის ანაზღაურება და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება

1. საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს. იმ ორგანიზაციებში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 2% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.

2. შტატგარეშე მომუშავის საშუალო შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებული თანამშრომლის საშუალო შრომის ანაზღაურებას.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს.

4. საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულის საშუალო თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს 1 500 ლარს.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მასში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოების წლიური ოდენობის 20%-ს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა მიმართონ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონტროლის ქვეშ მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – შესაბამისი დონის ბიუჯეტებში.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად, სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელზე და იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომელთა საქართველოს სახელმწიფო,

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან მიღებული დაფინანსება არ აღემატება მათი საერთო შემოსულობების 25%-ს.

8. ამ მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 24. სახელმწიფო შესყიდვები

უფლება მიეცეთ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ამ კანონის ამოქმედებისთანავე დაიწყონ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების განხორციელების პროცედურები.

მუხლი 25. შეზღუდვები საქართველოს სამინიტროების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯის გაწევაზე

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს საქართველოს სამინისტროებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში გადახდის განხორციელება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებისა და მუხლების მიხედვით.

2. საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიზნით გამოყენების საკითხი საქართველოს სამინისტროებმა უნდა დააყენონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ეკონომიის ამ კანონით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში მიმართვის თაობაზე. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში მიმართული თანხების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონით დამტკიცებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობის 2%-ს.

მუხლი 26. საბიუჯეტო ორგანიზაციების 2009 წელს შესრულებული ზოგიერთი სამუშაოს და მომსახურების დაფინანსება

უფლება მიეცეთ სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებსა და მომსახურებაზე 2009 წლის დეკემბერში განუხორციელებელი გადახდები განახორციელონ 2010 წლის 1 თებერვლამდე, საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმავე მუხლებიდან.

მუხლი 27. წლის განმავლობაში მიღებული ფულადი გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება

სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვა და ხარჯვა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით.

მუხლი 28. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების (წარმომადგენლობების) შემოსულობათა ხარჯვა

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების (წარმომადგენლობების) და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების ხარჯვა განხორციელდეს ადგილზე, შესაბამისი დაწესებულებისა და წარმომადგენლობისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 29. ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 1 აპრილამდე განსაზღვროს იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ნუსხა, რომლებიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ თავიანთი 2010 წლის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებს (კვარტალურს, წლიურს) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად.

მუხლი 29[1]. რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებების დაფინანსება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ამ კანონით დამტკიცებული ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდით „25 06 – რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებები“ გათვალისწინებული ასიგნებები გადაურიცხოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას – საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას.

მუხლი 30. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება

1. უფლება მიეცეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, 2009 წელს „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით გათვალისწინებული ასიგნებებით შესრულებული სამუშაოების დაფინანსება, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია შეიარაღებული ძალების აღმშენებლობისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, განახორციელოს ამ კანონით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის „საქონელი და მომსახურების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევაში და დაწესებული ლიმიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების (ერთეულების) მიერ შესასყიდ საქონელზე, სამუშაოსა და მომსახურებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ამავე აქტით დადგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფები (ერთეულები) ითვლებიან შემსყიდველ ორგანიზაციებად და ეკისრებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

მუხლი 31. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული საექსპერტო მომსახურება

1. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის და საქართველოს პროკურატურისათვის მომსახურების გაწევა განახორციელოს საზღაურის გარეშე.

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ საქართველოს თავდაცვის, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, საქართველოს ფინანსთა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების შესაბამისი სამსახურების საგამოძიებო დანაყოფებისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე მომსახურების გაწევა განახორციელოს საზღაურის გარეშე.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გააფორმონ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება საექსპერტო მომსახურების ანაზღაურება.

მუხლი 32. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „ცოდნის კარის“ განხორციელება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროგრამა „ცოდნის კარისთვის“ გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვა განახორციელოს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 32[1]. პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლების დაფინანსება

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა მოამზადონ შესაბამისი ცვლილებები საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მის სისტემაში არსებულ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში სააღმზრდელო მომსახურების – მოსწავლეთა საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების დაფინანსების მიზნით.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებამდე თავის სისტემაში არსებულ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში სააღმზრდელო მომსახურების – მოსწავლეთა საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოს ამ კანონით დამტკიცებული ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდიდან „32 14 19 – განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა“.

მუხლი 32[2]. სსიპ – ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისა და მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის დაფინანსება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია „არქმშენინსპექციის“ სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულებამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აპარატმა აღნიშნული ორგანიზაციების დაფინანსება განახორციელოს ამ კანონით დამტკიცებული ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდიდან „24 13 – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია“.

მუხლი 33. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. 2010 წლისათვის ორგანიზებულად განსახლებული ერთი დევნილისა და ლტოლვილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსება თვეში განისაზღვროს ქალაქ თბილისში 13.48 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – 12.98 ლარით. აღნიშნული დაფინანსება ცენტრალიზებულად განახორციელოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ.

2. დევნილთა და ლტოლვილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა და ლტოლვილთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, ჩასახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) ერთ დევნილსა და ლტოლვილზე განისაზღვროს თვეში არა უმეტეს 5 ლარით. აღნიშნულის დაფინანსება განხორციელდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელშეკრულების პირობებს და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

მუხლი 34. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ ცალკეულ ღონისძიებებში გაგრძელდეს და აუცილებლობის შემთხვევაში შემოღებულ იქნეს ღონისძიებათა ნაწილის ანაზღაურება მოსახლეობის მიერ თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის წესს, ფორმასა და მოცულობას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელ 2010 წლის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსების, თანადაფინანსების, ანგარიშსწორების წესებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი განკარგავს და ახორციელებს „სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამას“, „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამას“, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის შემდეგ პროგრამებსა და პროექტებს: „აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში (გლობალ ფონდი)“, „ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი (WB)“, „ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი (WB)“, „პირველადი ჯანდაცვის

რეფორმის მხარდაჭერის პროექტი (ევროკავშირი)“.

4. „სოციალური დახმარებების პროგრამის“ ფარგლებში:

ა) უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისა და პირების ქვემოთ მითითებულ კატეგორიებზე (მათ შორის, დევნილთა ოჯახებზე) 2007 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ყოველთვიური დახმარებების გაცემა გაგრძელდეს შემდეგი ოდენობებით:

ა.ა) მარტოხელა არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიან ოჯახზე – 22 ლარი, არამომუშავე პენსიონერთა ორ- და მეტსულიან ოჯახზე – 35 ლარი;

ა.ბ) დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;

ა.გ) არამომუშავე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლოებზე, ერთ პირზე – 22 ლარი;

ა.დ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ერთ ბავშვზე – 22 ლარი;

ა.ე) მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს 7 ან 7-ზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი, – 35 ლარი;

ბ) გაგრძელდეს „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობის გაცემა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით იდენტიფიცირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სოციალური დახმარება შეუწყდეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ იმ ოჯახებს, რომლებიც მოხვდებიან მთავრობის მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით იდენტიფიცირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და დაენიშნებათ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული საარსებო შემწეობა;

დ) დაფინანსდეს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიება.

5. განისაზღვროს სახელმწიფო პენსიის შემდეგი ოდენობები:

ა) მინიმალური სახელმწიფო პენსია – 55 ლარი;

ბ) საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია – 80 ლარი;

გ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანიშნული სახელმწიფო პენსია – 80 ლარი;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის (გარდა მკვეთრად გამოხატულისა) სტატუსის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია – 70 ლარი;

ე) მეორე მსოფლიო ომის:

ე.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 129 ლარი;

ე.ბ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 80 ლარი;

ე.გ) მონაწილეებისთვის – 80 ლარი;

ვ) ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების:

ვ.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 129 ლარი;

ვ.ბ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 80 ლარი;

ზ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების:

ზ.ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 84 ლარი;

ზ.ბ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის – 70 ლარი;

თ) ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა, სხვა სახელმწიფო პენსიის ოდენობები (მათ შორის, დანამატები) განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. სახელმწიფო პენსიებისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განხორციელდეს ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების გაცემა:

ა) სახელმწიფო პენსიის/სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ მარტოხელა, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შრომისუუნარო მშობელზე გასაცემი მინიმალური სახელმწიფო პენსიის ან მარჩენალდაკარგულზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობით;

ბ) „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაღუპულთა იმ მშობელზე, რომელსაც დაეღუპა ორი ან მეტი შვილი, – 55 ლარის ოდენობით (თითოეულ გარდაცვლილ შვილზე).

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო დახმარების ადმინისტრირება და მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

8. 2010 წლის განმავლობაში დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობების გაცემა განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ.

9. 2010 წლისათვის ორგანიზებულად განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვროს 22 ლარის ოდენობით, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა – 28 ლარის ოდენობით.

10. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებები გაიცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

11. უფლება მიეცეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განსაზღვროს:

ა) 2009 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის იმ სახელმწიფო პროგრამების და მათი ღონისძიებების მოცულობები, რომელთა განხორციელებაც გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2010 წლის სახელმწიფო პროგრამების ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე;

ბ) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ

მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამისა“ და პროგრამა „ბავშვზე ზრუნვის“ ის ქვეპროგრამები/ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ.

12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2010 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე გაგრძელდეს 2009 წლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებები, რომელთა უწყვეტი განხორციელებაც აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, და, შესაბამისად, ხელშეკრულებები გაფორმდეს იმავე მომწოდებლებთან. ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

13. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 2009 წლის დეკემბერში შესრულებული სამუშაოების დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული პროგრამების ასიგნებებიდან.

14. სოციალურ პროგრამებს, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ნაწილს, პროგრამა „ბავშვზე ზრუნვის“ ნაწილს და მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო.

15. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ნაწილს, პროგრამა „ბავშვზე ზრუნვის“ ნაწილს და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს, გარდა მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებისა, ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო.

16. „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა“ განხორციელდეს „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად.

17. „დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ „იმუნიზაციის კომპონენტით“ გათვალისწინებული ვაქცინებისა და შპრიცების შესყიდვა

განხორციელდეს გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ხოლო აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებული იმ ვაქცინებისა და შპრიცების, რომელთა შესყიდვაც ვერ ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის მეშვეობით, შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

18. „გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ღონისძიებები აჭარის მოზრდილი მოსახლეობისათვის დაფინანსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

19. „სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების“ „სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ღონისძიებები ქალაქ თბილისის მოსახლეობისათვის დაფინანსდეს ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან.

20. „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა“ ითვალისწინებს 2007 წლამდე სახელმწიფო დაკვეთით მიღებული რეზიდენტების მომზადებას და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების რეფორმის მხარდაჭერისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას.

21. „დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის კომპონენტი“ დაფინანსდეს 2010 წლის 1 აპრილამდე.

22. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული (მათ შორის, „ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების/პანსიონატების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 ივლისის №585 ბრძანებულებით დაფუძნებული) ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების, პანსიონატების, დაწესებულებებისა და დღის ცენტრების) რეორგანიზაცია და მათი ქონების ბაზაზე ჩამოყალიბდეს სსიპ – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტო. სააგენტოს სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის/განთავისუფლების წესი განისაზღვრება სააგენტოს წესდებით (დებულებით), რომელსაც ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

23. „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეთანხმებული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობასთან.

მუხლი 35. ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებთა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების (სეთურნის, ჯაღმიანის, ზაქანის, ხადის და კაიშაურნის) მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება ანაზღაურდეს 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 15 მაისამდე და 2010 წლის 15 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდებში – თითოეულ აბონენტზე თვეში არა უმეტეს 700 $მ^3$-ისა (მაისსა და ოქტომბერში – არა უმეტეს 350 $მ^3$-ისა).

მუხლი 36. სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

2010 წლის განმავლობაში სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია ადმინისტრაციისათვის ამ კანონით დამტკიცებული ასიგნებებიდან თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს ერთჯერადი დახმარებები.